# მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

№ 86 ოთხშაბათი, 9 დეკემბერი 1909 წ. № 86

გაზეთი „მომავალი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სადამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ხელის მოწერა მიიღება 1910 წლისათვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი"

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

---

გულდამწვარი მშობლები ალექსანდრე და ფისა, ძმები: გიორგი და მიშა, რძალი სოფიო და ძმისწული საშურა საბახტარიშვილები, გულ-მწუხარეთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულ გარდაცვალებას ძვირფასის

### ილიუშა საბახტარიშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე, შუადღის ხუთი საათიდან—საკუთარ სახლში. (ფოთი, ლილიანის ქუჩა). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

## გლეხი-კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია"-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაჭავარიანის მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შინაარსი წიგნისა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.

ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.

ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.

ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (зак. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება რომელიც «მომავალის» და „დროები"-ს 6 დეკემბრის ნომერთან ერთად დაირიგდა ხსენებულ ნომრებთან ერთად გაზეთზე ხელის მოწერით.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე ვასილ გადილია.

(20—4)

---

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა

## კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის" სტამბის ამხანაგობისა

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია. სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლათ. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში.

**წიგნის ფასი 35 კაპ.**

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія «Шрома» Василію К. Болквадзе.

---

წარმოდგენა 21. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 9.

**შაბათს, 12 დეკემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ს. გლახაშვილისა

## ტყუპები

დრამა 4 მოქმედებათ.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაცია.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 მ.-მდე; გალერეა 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 50 კ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „სამეგრელოს მთავარი ლევან", იხატება დეკორაციები, იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანშემწე **მ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ** სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრე ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით გამართავს საიუბილეო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

## ხანუმა

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს წრესთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი. ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 19 დეკემბერს,

რეჟისორი კ. შათირიშვილი. ადმინისტრატორი ვახვახიშვილი.

---

თფილისის სახაზინო თეატრი

პეტერბურგის დრამატიული თეატრის ვ. ფ. კომმისარჟევსკაიას **გასტროლები,** 6-დან 14 დეკემბრამდის.

ვერა ფეოდოროვნა **კომისარჟევსკაიას** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს **„სასტუმროს პატრონი ქალი"** კომ. 3 მოქმ. 4 სურ. გოლდონისა.

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს **„უმზითვო"** (безприданница) დრამა 4 მოქმ. ოსტროვსკისა.

პარასკევს, 11 დეკემბერს **„პეპელათა ბრძოლა"** კომ. 4 მოქმ. ზუდერმ. თარგ. კუმანინისა.

შაბათს, 12 დეკემბერს **„ცხოვრების ნადიმი"** ახალი პიესა პშიბიშევსკისა 4 მოქმედება.

კვირას, 13 დეკემბერს **„ოგნი ივანოვოი ნოჩი"** დრ. 4 მოქმ. ზუდერმან. თარგ. საბლინისა

ორშაბათს, 14 დეკემბერს **„ნორა"** დრამა 3 მოქმ. იბსენის, თარგ. განზენისა. აღებული ბილეთები გამოდგება.

**დასაწყისი საღამოს 8 ს.**

დირექციის რწმუნებული პ. ა. რუდინი

---

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

---

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლება"-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის. ხელის მომწერთათვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურათ **ორ მანეთათ** დაეთმობათ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში.

ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія, Л. Г. Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

---

კბილის ექიმი

## ს. ვამაყმამე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

---

Желая составить группу

## ИЩУ

товарищей, готовящихся на аттестатъ зрѣлости. Имѣю знаніе 6 клас. гимназіи. Адресь: въ редакцію „Момавали", спросить Вано. (3—1)

---

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

---

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

---

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.


## პრესა

ამას წინეთ სენატში გაირჩა 42-მდე საჩივარი სხვადასხვა საზოგადოებათა და კავშირებისა საგუბერნიო საკრებულოთადმი, რომელთაც 4 მარტის კანონი არ აასრულეს და სხვადასხვა საზოგადოებები თუ კავშირები დახურეს ან ნებართვა არ მისცეს. საჩივრების უმეტესი ნაწილი, რასაკვირველია, სენატმა „უყურადღებოთ" დასტოვა. მხოლოდ ორი საჩივრის შესახებ დაადგინა შეცვლილ იქნას ადგილობრივი ადმინისტრაციის დადგენილება. სენატმა გააუქმა ხარკოვის გუბერნატორის განკარგულება, რომელმაც კანონის მიუხედავათ, თავისი უფლებით არ დაამტკიცა ერთი პროფესიონალური საზოგადოების წესდება. მეორე საჩივარი შეეხებოდა ერთ-ერთ გიმნასტიკურ საზოგადოებას. ამის შესახებაც სენატმა მისწერა ადგილობრივ ადმინისტრაციას საქმე გამოიძიე ხელ-ახლაო. ეს იყო და ეს. დანარჩენ შემთხვევაში ადგილობრივი ადმინისტრაციის „უსმოტრენიები" „მიზნის შესაფერათ" იცნო სენატმა. ამის შესახებ „რუსსკ. ვედ." შენიშნავს:

„ჩვენ ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, სადაც შებოჭილია ყოველივე საზოგადოებრივი ინიციატივის გამოჩენა, შეუძლებელია საზოგადოებრივი თვითმოქმედების გამოჩენა. პოლიციური ოპეკა, საგანგებო წესების და „უსმოტრენიების" რეჟიმი სხვადასხვა ადგილებში ჰქმნიან ისეთ პირობებს, სადაც ყოველივე მოქმედება განუსაზღვრელია. ასეთ პირობებში ძნელია თვითმოქმედების გამოჩენა და სადაც კი ასე თუ ისე მაინც გამოჩნდება, უდროვოთ ჰკვდება და კვდება ადმინისტრატიულ კლანჭებში. ამ მხრივ ბევრით „წინ წავედით". ძველ დროში არასოდეს ასეთი არ ხდებოდა. მოქმედების ყოველივე დარგში ხდება თავდასხმა და თავდასხმა სხვადასხვაგვარი, იმის მიხედვით, თუ რა ნაირ სულიერ განწყობილებაში იმყოფებიან ადგილობრივი საქმის „გამწესრიგებელნი". ყველგან მუშათა პროფესიონალურ კავშირებს სდევნიან. პროფესიონალური კავშირები „მტერთა ბანაკათ" აქვთ წარმოდგენილი. ბევრ ადგილებში არც განმანათლებელ საზოგადოებებს აკლებენ „თავიანთ მოწყალებას". უარს ეუბნებიან სახლის პატრონთა საზოგადოებას დამტკიცებაზე, რომლის მიზანია იზრუნოს როგორც ქალაქის, ისე ქალაქის მახლობელი სოფლის გასუფთავება-მოწესრიგებაზე, ვინაიდან, დროთა განმავლობაში შესაძლოა ხსენებულმა საზოგადოებამ მთავრობის უფლებები მიითვისოს. ზოგიერთ ადგილებში ადმინისტრაცია ხურავს სასოფლო-სამეურნეო და კოოპერატიულ ამხანაგობებს. ასე წარმოიდგინეთ, ნაფიც ვექილთა იურიდიული კონსულტაციების მოქმედებაც კი უკანონოთ იქნა ცნობილი, რომელიც თვალსაჩინო დახმარებას უწევდა ხელ-მოკლე ხალხს. არ ამტკიცებენ აგრეთვე მასწავლებელთა საზოგადოებას, „ლიტერატორთა კასის" საზოგადოებას უფლებებს უკვეცავენ და სხ.

ადმინისტრაციის ასეთი „მზრუნველობის" შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ბევრი საზოგადოება განუტევებდა და განუტევებს სულს, მარა ყველა მათ შესახებ ხომ სენატამდე ვერ მიაღწევს საქმე და ან, რომც მიაღწიოს, როგორც ვხედავთ, საქმე მაინც „უყურადღებოთ" რჩება.

* * *

„სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი" ყოველთვის „დიდის ყურადღებით" ეპყრობოდა მუშათა საკითხს, მარა ყურადღებაც არის და ყურადღებაც. ამ ჟამათ ის არკვევს იმ საკითხს, თუ როგორ უნდა შეუდგენ მუშათა დაზღვევის კანონის წინასწარ დამუშავების და მისი ცხოვრებაში გატარების საქმეს. გაზეთის აზრით ხსენებული კანონის ძალაში შესვლით საზოგადო კანონებს ერთი ახალი კანონი ემატება, რომლის ძალითაც რამდენიმე მილიონი კაცის საქმე ჩამოშორდება ძველ, იურიდიულ კანონს და გადაეცემა ამ ახალ კანონს, რომელსაც სრულიადაც არ არიან გაცნობილი ის პირნი, რომლებიც ხსენებულ კანონის ძალით ვალდებულნი იქნებიან ასე თუ ისე მოიქცენ და თვით კანონი კი რას ამბობს, არ ეცოდინებათ. გაზეთის აზრით გერმანიის მაგალითს—თუ როგორ ამზადებდენ წინდაწინ ნიადაგს, სანამ კანონს გამოსცემდენ—ჩვენში არ მიბაძეს, არამედ—პირდაპირ გადმოიღეს ხსენებული კანონი და სხვა არაფერი გაუკეთებიათ. ამიტომ

„ჩვენში სულ სხვა სურათს ვხედავთ. მთავრობის კანონ-პროექტი და მასი ახსნითი განმარტება, რაიც სახელმწიფო დუმაში იქნა წარდგენილი, ფართო საზოგადოებისთვის მიუწდომელია. ამიტომ უნდა დაწვრილებით განმარტებულ იქნას ის იდეა, თუ საიდან წარმოსდგა მუშათა სავალდებულო დაზღვევა. უნდა გაეცნოს საზოგადოების ფართო ნაწილი იმას, თუ რა შედეგი მოყვა ასეთი კანონების ცხოვრებაში გატარებას დასავლეთ ევროპაში. ამისთვის

საჭიროა გაზეთების, ბროშიურების, წიგნების, ლექციების და კრებების საშუალებით ხსენებული საკითხის ხალხისთვის გაცნობა თუ როგორაა ის მოწყობილი სხვა სახელმწიფოებში და როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში...

ალბათ, გაზეთმა არ იცის, რა ხდება სხვადასხვა ადგილებში. როგორ „მზრუნველობას" იჩენენ ადგილობრივი ადმინისტრატორები. შესაძლებელია თუ არა პროპაგანდა-აგიტაცია, თუ გინდ ისეთი კითხვის გარშემო, როგორიც მუშათა სავალდებულო დაზღვევის საკითხია, მარა რა ეხარჯება „თფილი" სიტყვების მეტი. ამის შესახებ „რუსსკ. ვედ."-ს სამართლიანათ შენიშნავს:

„დღევანდელ პირობებში განა შესაძლებელია ისეთი ფართო „პროპაგანდა" და „პოპულიარიზაცია" ხსენებული საკითხის, როგორც ის გერმანიაში ხდებოდა სანამ დაზღვევის კანონები ძალაში შევიდოდა? დღევანდელ პირობებში ჩვენში ეს შეუძლებელია. მოვიგონოთ თუ გინდ მოსკოვში გამართულ საქარხნო ექიმთა სიეზდის უდროვოთ დახურვა, სადაც არჩევდენ მუშათა დაზღვევის საკითხს. ექიმთა საზოგადოებას ნიჟნი-ნოვგოროდში აუკრძალეს მოხსენება მოესმინა მოსკოვის სიეზდის შესახებ და ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ პეტერბურგის კავშირს მიუთითეს იმ უკანონობაზე, რომელიც მდგომარეობდა, მათი აზრით, მოსკოვში საქარხნო ექიმთა სიეზდზე მხოლოდ დელეგატის გაგზავნაში".

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

7 დეკემბერი

მე-27 სხდომა იხსნება 11 საათსა და 16 წუთზე. თავმჯდომარე შიდლოვსკი დუმას წინადადებას აძლევს ფეხზე ადგომით პატივი სცეს ახლათ გარდაცვალებულ დიდ თავადს მიხაილ ნიკოლოზის ძის ხსოვნას. მთელი დუმა დგება. შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ 1 საათზე თავრიდის სასახლის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი. ამის შემდეგ დუმა შეუდგა სასამართლოს საქმეების რუსულ ენაზე წარმოების საკითხის განხილვას.

**როდიჩევი** აღნიშნავს, რომ სასამართლოს დანიშნულებაში სრულებით არ შედის სხვადასხვა ეროვნებათა გაღიზიანება, პირიქით სასამართლოს დანიშნულებაა მშვიდობიანობის და სამართლიანობის განმტკიცება.

**შულგინი** 2 ამბობს, რომ კამათი გაამწვავა დუმაში არა მარტო როდიჩევმა, არამედ მილიუკოვმაც, რომელმაც ნაციონალური კითხვის გადაწყვეტა წამოაყენა. მილიუკოვის აზრი, ვითომ რუსეთის ნაციონალისტები რუსეთის მთლიანობის დამარღვეველნი იყვნენ, სიცრუეა. ბუნგის, გრიმის, კრუშევანის და სხვათა სახელები ნათლათ მოწმობენ, რომ რუსეთის ნაციონალიზმს შეუძლია „ინოროდცების" გარდაქმნა და წმინდა რუს ხალხათ გადაკეთება. თქვენ კი—ეუბნება ორატორი მემარცხენეებს,—თვითონ ხდებით ინოროდცების მტრები, თქვენ იქამდის მიხვედვით, რომ რუსეთს შეერთებულ შტატებათ გადაქცევას უპირებთ. ბატონო კადეტებო, განა თქვენ არ გიხაროდათ იაპონიასთან ომის დროს რუსეთის დამარცხება? (ხმები: ტყუილია, ცილისწამებაა.

შემდეგ ორატორი ეხება უკრაინელთა საკითხს და ამბობს, რომ უკრაინულ ენას თხოულობენ არა უკრაინელები, არამედ ერთი მუჭა პირები ლუჩიცკის მეთაურობით, დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ადგილობრივ სასამართლოებში ყველგან რუსული ენა უნდა იქნეს ჩვეულებისამებრ გაბატონებულიო.

**გრ. ბობრინსკი 2.** უპასუხებს კადეტების ორატორებს. მილიუკოვი კარგი მეცნიერია, მაგრამ ძალიან ცუდი ტაქტიკი. რუსული ენის რომელიმე დაწესებულებაში შესუსტება ან გაუქმება ყოვლათ შეუწყნარებელია. (მარჯვნით და ცენტრში ტაშის ცემა).

**მომხსენებელი შუბინსკი** დაასკვნის, რომ, სანამ რუსეთის მთლიანობა არსებობს, სანამ რუსეთის საკანონმდებლო ძალა მონარქს ეკუთვნის, მანამდე რუსეთის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში მხოლოდ რუსული ენა უნდა იხმარებოდეს. მაგრამ ამ ჟამათ ის კითხვა კი არ არის გადასაჭრელი თუ რომელი ენა უნდა იქნას აღიარებული სავალდებულოთ, არამედ კითხვა იმაშია, როგორ მოვექცეთ იმ პირებს, რომელნიც რუსეთის სასამართლოში მოდიან და რუსული ენა კი არ იციან. ამ კითხვის გადასაჭრელათ კი საკმარისათ მიმაჩნია ანტონოვისაგან შემოტანილი შესწორება, რომელიც მოითხოვს საკანცელიარიო ნაწილებს და თარჯიმანთა ინსტიტუტის დაარსებას.

12 ს. და 52 წ. კრება შესწყდა. კრების განახლებისას ანდრეიჩუკი აცხადებს, თავის ამომრჩევლების სახელით, რომ მას აზრათაც არ მოსვლია მოეთხოვა ადგილობრივი ენის შემოღება სასამართლოში და რომ ეს საჭიროც არ არის. ყოველ შემთხვევაში უკრაინის დეპუტატები ხმას მისცემენ ანტონოვის შესწორებას. საზონოვიჩი აცხადებს, რომ მემარჯვენეები ხმას მისცემენ ანტონოვის შესწორების წინააღმდეგ.

**მაკლაკოვი.** მოითხოვს, რომ თავმჯდომარე არჩეულ იქნეს სიეზდების მიერ. თუ მოსამართლეები კარგები იქნებიან, თავმჯდომარეთაც მათ შორის უკეთესს აირჩევენ. თუ რეფორმა არ გავა, მაშინ მას ვერც დანიშნული თავმჯდომარე იხსნის. მე ვშიშობ, რომ თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნული იქნებიან ისეთი პირები, რომლებისათვის სხვა ადგილები არსად იქნება.

**იუსტიციის მინისტრი** აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ფრიად დიდ-მნიშვნელოვანია და თავისი ისტორია აქვს. მას მოყავს ისტორიული ცნობები და დასასრულ ამბობს, რომ მეორე ინსტანციის სათავეში უნდა ედგას ამორჩეული ამხანაგებისაგან სრულიად დამოუკიდებელი კაცი, განათლებული იურისტი.

**ნოვიცკი** 2 წინააღმდეგია მომრიგებელ სიეზდების თავმჯდომარეობის დანიშვნის.

**ბულატი** აცხადებს, რომ ის ეთანხმება ნოვიცკის წინადადებას, რაც პირველი მაგალითია.

**შჩეპკინი.** მხარს უჭერს მომრიგებელ სიეზდებისათვის თავმჯდომარის არჩევას.

**ლომონოსოვი** თხოულობს აღადგინონ მომრიგებელი ინსტიტუტები.

**გროდზიცკი** მხარს უჭირს პროგრესისტების წინადადებას არჩეულ იქნას სიეზდების თავმჯდომარეთ უმაღლესი იურიდიული განათლების პირი.

**თავ. ტენიშევი** წინადადებას იძლევა უარყონ ყველა წინადადებები გუჩკოვის წინადადების გამო.

**ტიმოშკინი** გუჩკოვის წინადადების წინააღმდეგია.

**კრილოვი** თხოულობს მეორე ინსტანციაში ყველა პირნი დანიშნულ იყვნენ.

**ჩერნოსვიტოვი** მეორე ინსტანციის სრულ კოლეგიალობის მომხრეა. სხდომა იხურება.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** სადამოს სასახლის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრენ დიდი მთავრინა ელისავეტა მავრიკიევნა, დიდი მთავრები კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე, კომანდირები, ოფიცრები და სხვა.

**ოდესა.** სასამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილა საქმე ტელეგრაფის მთავარ მექანიკის ბუხგეიმის, უმცროს მეხანიკის ზალუცკის მთავრობის ტელეგრაფის ინსტრუქტორის იაკუბოვის 1905 წელს ფოსტა-ტელეგრაფის ორგანიზაციის მოწოდებაში მონაწილეობის მიღება და ბუხგეიმს და იაკუბს გადაუწყვიტა 2 კვირით ციხეში დატუსაღება. ზალუცკი გაამართლა.

**ლოძი.** ლოძის ახლო ტაკგანიცის გმინის სამმართველოში შეიჭრა ხუთი შეიარაღებული უცნობი და მოინდომეს ფულის უუთის დინამიტით აფეთქება, მაგრამ ამაოთ. მოიტაცეს პასპორტის 25 წიგნაკი, დასტოვეს ბარათი, რომელზედაც ეწერა პ. პ. ს. და გაიქცენ.

**ტაშკენტი.** სატუსაღოში აღმოაჩინეს 51 ტუსაღის გასაქცევათ მზადება. ტუსაღებს კედელი გაენგრიათ, კრაოტებიდან კიბე გაეკეთებიათ და იარაღი მოემზადებიათ.

**ვილნო.** გუშინ ეტლით მიმავალ გენერალ აკიმოვს და მის თანაშემწე პენკოს რამდენჯერმე ესროლეს. პესკო მსუბუქათ დაიჭრა ხელში. მსროლელი, ებრაელი მუშა, დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** დუმის მდივანი საზონოვიჩი აცხადებს, რომ ტყუილია გაზეთში გავრცელებული ხმები თითქო მას და დეპ. დუგაშინს შეტაკება მოსვლოდეთ.

მომავალ წლიდან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში მიიღებენ ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მოწერას.

**ორენბურგი.** ჩელიაბინსკში ურთიერთ ნდობის საზოგადოებაში მოიტაცეს ფულის უუთი. შიგ იყო ფულათ 776 მან., 90,000 ვექსილი, 1,000 რენტა და 1000 ფასდადების ბარათები.

**ეკატერინოსლავი.** ადგილობრივმა მუშებმა გაძარცვეს შჩეობინოვსკის ქარხანა. პასუხისგებაში მისცეს 12 კაცი, მათ 1055 მ. აღმოაჩნდათ.

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის გარდაცვალების შესახებ: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ ნიკოლოზ მეორე იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: ნებითა ღვთისათა ჩვენ საიმპერატორო სახლს კვლავ მოევლინა მწუხარება. გარდაიცვალა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ვსტირით რა ძვირფას ბიძის დაკარგვას, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი შეუერთებენ თავიანთ ლოცვას ჩვენსას დიდი მთავრის სულის განსასვენებლათ. ბოძებულია ლივადიაში ხუთ დეკემბერს ათას ცხრაას ცხრა წელს". ნამდვილზე მისი იმპერატორობითის საკუთარის ხელით აწერია: „ნიკოლოზი".

**უმალსკი.** შავი ჭირი ყირგიზებში გრძლათ მოედო. 12 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ავათ გახდა 37, ავათ არის ეხლა 31. მიღებულია ყოველივე ზომები ჭირის წინააღმდეგ.

ხ ო ლ ე რ ა.

**მოსკოვი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 26, მოკვდა 3, ავათ არის 63.

**პეტერბურგი.** ავათ არის 23, არავინ მომკვდარა.

✝

დიდი მთავარი

## მიხეილ ნიკოლოზის ძე

როგორც გუშინ სააგენტოს დეპეშამ გადმოგვცა, ქ. კანნში (საფრანგეთში) მცირე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. განსვენებული დიდი მთავარი ამ ჟამათ 77 წლისა იყო. ის მეოთხე ვაჟი იყო იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა. დაიბადა 1832 წელს 13 ოქტომბერს. 1848 წ. დიდი მთავარი სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა პორუჩიკის ჩინით. როცა 21 წელი შეუსრულდა, მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი და ჩაირიცხა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ამალაში (СВИТА). იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მინდობილობით მან მონაწილეობა მიიღო ოსმალეთთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ბრძოლაში. კავკასიის ნამესტნიკათ და აგრეთვე კავკასიის ოლქის ჯარების უფროსათ ის დაინიშნა უმაღლესი ბრძანებით 1862 წ. 6 დეკემბერს. ამ თანამდებობაზე ის დარჩა 1881 წლის 23 ივლისამდე. შემდეგ ამ თანამდებობიდან ის განთავისუფლებულ იქნა და დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეთ. მესამოცე წლებიდან კავკასიაში მუდამ ომი ჰქონდა რუსეთს სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთან. დიდი მთავარი ომებში დიდ მონაწილეობას იღებდა. დიდი მონაწილეობა მიიღო დიდმა მთავარმა როგორც ყარსის, ისე ბათუმის აღებაში 25 აგვისტოს 1878 წელს. საქართველოს რუსეთთან ასი წლის შეერთების იუბილეის გადახდაში 1901 წელს დიდ მთავარს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მისლო მისი სახელით მონაწილეობა მიეღო...

## კაპიტალის წარმოშობა

(შემდეგი)

გადის დრო—ხანი, კაპიტალისტური მეურნეობა თანდათან ღონიერდება. აღარ არის საჭირო კანონმდებლობის ჩარევა სამუშაო ქირის მოწესრიგებაში. შრომის ბაზარს ავსებს აუარებელი ხელი. მთავრობის ენერგიულმა ზომებმა მიაღწიეს თავის მიზანს: მუშის ხელ-ფასი დაეცა. ამიერიდან აღარ არის საჭირო მთავრობის სასტიკი ზომები. მხოლოდ ერთ რამეზედ იყო საჭირო ზრუნვა: მუშების რაოდენობა შრომის ბაზარზედ არ შემცირდეს. თუ დღევანდლამდის სამუშაო ხელ-ფასი მაღალი იყო ინგლისში მხოლოდ იმისთვის, რომ შრომის ბაზარზე ცოტა იყო მუშა ხელი, დღეს კი მთავრობის ენერგიულმა ზომებმა შრომის ბაზარი გაავსო მუშებით. საჭიროა მუშის რაოდენობა ბაზარზე არ შემცირდეს. უმუშევრობის და მშრომელი მასსის გაჭირვებულ მდგომარეობას თან დასდევს ათასგვარი ეპიდემია, რაც მუსრ ავლებას და ამცირებს მუშების რიცხვს. მუშების დახმარება საჭიროა მეორე მოსაზრებითაც—თავმოყრილი ერთ ქალაქებში, ეს გაბრაზებული ხალხი, წარმოადგენს მუდამ მღელვარე ზღვას, რომლის სტიქიონურ ზღვირთებს შეუძლია ერთ დღეს წალეკოს ბედნიერთა მყუდროება. პროლეტარიატის რიცხვი საშინელი სისწრაფით იზრდება. მდიდართა რევოლიუციამ დაარღვია ძველი წეს-წყობილება და ხალხს ჩამოაცალა სალსარი თავის არსებობისა. ყველა ამ მოსაზრების გამო გამოცემულ იქნა კანონი ღარიბების შესახებ 1601 წ. ყველა ღარიბს ამიერიდან ეძლეოდა დახმარება, ამისთვის საგანგებოთ დაარსებულ კასებიდან. შემოღებულ იქნა გადასახადი ღარიბების სასარგებლოთ. რაკი მთავრობამ და გაბატონებულმა კლასებმა თავის მიზანს მიაღწიეს: სამუშაო ქირა დაეცა, სწყვეტენ დევნას, რომელიც აღმართული იყო ღარიბთა დახმარების წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, მოწყალების დარიგებისთვის მთავრობა სასტიკათ სჯიდა, როგორც მიმცემს, ისე მთხოვნელს. ამიერიდან, არამც თუ არ არის აკრძალული ღარიბთა დახმარება, არამედ—თვითონ მთავრობა კისრულობს ამ საქმის მოწესრიგებას და აძლევს მას კანონმდებლობითი ხასიათს. შეეფერებოდა ეს კანონი კაპიტალისტების ინტერესებს? შეეფერებოდა. როდესაც სამუშაოს აძლევდენ ღარიბს, რომელიც დახმარებას ღებულობდა, სამუშაო ქირა მისი იყო ძლიერ დაბალი. ეს იყო ერთნაირი ზედ-მეტი საშოვარი და მუშა სიამოვნებით თანხმდებოდა დაბალ ფასებში მუშაობას. ღარიბთა სასარგებლოთ გადასახადს იხდიდა ყველა; მხოლოდ იაფ-ფასიან შრომით სარგებლობდა ის, ვისაც რაიმე საწარმოვო დაწესებულება ქონდა, ან მამული. მხოლოდ ამ მოსაზრებით აიხსნება, თუ რისთვის იცვალა მთავრობამ შეხედულება ამ კითხვაზე და მასთან, მხოლოდ ამით აიხსნება, თუ რისთვის ასე თავ-გამოდებით იცავდა ლორდები ამ კანონს 1601 წელს. ამის შემდეგ ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები გამოდიან და იძახიან.

—აი, შეხედეთ, რა ჰუმანიურია ინგლისის მთავრობა—ეს კანონი ნაბიჯი იყო სოციალურ თანასწორობისკენ.

ჩვენ აშკარათ დავინახეთ, თუ რამდენათ მართალია ეგეთი შეხედულება ამ კანონზე. კაპიტალისტურ წარმოებისთვის ორი რამ არის საჭირო: მუშა ხელი და ფული *).

ჩვენ (ინგლისის ისტორიიდან) დავინახეთ, თუ როგორ იბადება „თავისუფალი" მუშა ხელი.

ეხლა ვიკითხოთ, კაპიტალისტური წარმოება სადაურ და როგორ ფულზე აშენდა? საიდან ჩაიგდეს ხელში ევროპიელმა კაპიტალისტებმა ეს აუარებელი ოქრო-ვერცხლი და სიმდიდრე? რისთვის არის ევროპა უმდიდრესი ყველა ქვეყნებზე.

დასავლეთ ევროპამ გაძარცვა და ხელში იგდო სიმდიდრე მსოფლიოს სამი ნაწილისა. აყვავება პორტუგალიის, ისპანიის, გოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისის, წარმოუდგენელი იყო ისე, რომ მათ არ გაეძარცვათ აფრიკა, უდაბნოთ არ ექცია სამხრეთი აზია და ახლო-მახლო მდებარე კუნძულები, არ მოესპოთ სახელმწიფო ტათეკების და ინკების მდიდარ ოსტ.-ინდიისა. შთანთქა რა ევროპამ საუკუნოებით მოგროვებული სიმდიდრე, გაანადგურა რა მთელი ქვეყნები, მოძრაობაში მოიყვანა უზარმაზარი მანქანა--ევროპის კაპიტალისტური მეურნეობა. მთელი ქვეყნები უდაბნოთ იქცა, მხოლოდ იმისთვის, რომ თითო-ოროლა თავზე ხელ-აღებულ ევროპიელ ავანტიურისტთა განკარგულებაში გადასულიყო ეს აუარებელი სიმდიდრე; სიმდიდრე, რომელიც შემდეგ მათ ხელში შეიქნა უძლიერეს იარაღათ შიგ ევროპაში მშრომელ ხალხის დასამორჩილებლათ, დასამონავებლათ. **მ. ზუგნელი.**

(შემდეგი იქნება).

*) ბევრი რამ სხვაც არის საჭირო კაპიტალისტურ წარმოებისათვის, მაგრამ ეს ორი ელემენტი ძირითადი, აუცილებელი ელემენტია კაპიტალიზმისა.

## ახალი ამბები

✦ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის** უკანასკნელ სხდომაზე კრებამ მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის ვ. რცხილაძის მოხსენება ძველი თეატრალურ სექციის თავმჯდომარე მ. დემურიასთან მოლაპარაკების შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ პირადათ ის, მ. დემურია წინააღმდეგი არაა ქონების გადაცემისა, მაგრამ „ახალი წრის" ზოგიერთი წევრნი, როგორც მაგალითად, ნ. ელიავა ამტკიცებენ, რომ სექციის მიერ მოპოვებული ქონება სახალხო კითხვის საზოგადოებასთან ყოფნის დროს, კანონით სახალხო კითხვების მომწყობ საზოგადოებას ეკუთვნის და არა სახალხო უნივერსიტეტსო, შემდეგ მოპოვებულ ქონების გადაცემისა კი წინააღმდეგი არაა. ქ-ნ დემურიამ 3 დღის განმავლობაში დასრულებული პასუხის გაცემა აღუთქვა. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს გამგეობის წევრს ნ. ჭიჭინაძეს ჩაიბაროს ყასსა თეატრალურ სექციის კასსა ყოფილ კასირ დუმბაძიდან, ეთხოვოს აგრეთვე გ. გვაზავას, რომ სახალ. უნივ. სასარგებლოთ წაიკითხოს ლექცია.

✦ **წარმომადგენლები.** აწ უკვე გარდაცვალებულ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დასაფლავებაზე დასასწრებლათ სომხურ საზოგადოების მიერ არჩეულია ს. ს. არიუტინოვი და სომხის კათოლიკოსიდან, ეპისკოპოსი—მასროპი.

✦ **პანაშვიდი.** ორშაბათს, 7 დეკემბერს, თფილისის ყველა სასწავლებლებში გადახდილი იქნა პანაშვიდი გარდაცვალებულ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სულის მოსახსენებლათ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** თავისს უკანასკნელ სხდომაზე დაუდგენია, მოახდინოს განსაკუთრებული კრება, რომელიც განიხილავს საკითხს დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელის უკვდავ ყოფის შესახებ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ** თანხმობა განუცხადა ქართულ სასკოლო სექციას, რომ უნივერსიტეტის სახელით სახალხო სახლში წარმოდგენა გამართოს უნივერსიტეტის სასარგებლოთ და მოსთხოვა განსახილველათ წარმოდგენის პროგრამა წარმოუდგინოს სექციამ.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** გუშინ, 8 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მე-4 სავაჟო გიმნაზიის მოწაფემ ს. ჟუკოვსკიმ რევოლვერის ტყვიით სასიკვდილოთ თავი დაიჭრა. დაჭრილი მიხ. საავათმყოფოში წაიყვანეს. ს. ჟუკოვსკი 15 დღეა, რაც გიმნაზიიდან დაითხოვიათ. მას ხელნაწერი დაუტოვებია: „მომბეზრდა სიცოცხლეო"

✦ **სანიტარული მდგომარეობა.** ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში სანიტარული კომისია კვლავ რევიზიას განაგრძობს. სანიტარულ დადგენილების დარღვევისათვის ბევრ ადგილას ოქმები შეუდგენიათ.

✦ **ლექცია.** კვირას, 13 დეკემბერს, სახალხო სახლში, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ ექიმი ფედოროვი ლექციას წაიკითხავს „დალტონიზმის ფიზიოლოგია-"ზე.

✦ **როგორც „ზ. ვ." გადმოგვცემს,** 5 დეკემბრის ქალაქის საბჭოს დადგენილებით სამსახურიდან სრულიად დაუთხოვიათ ქ. ბათუმის წყლისაყვანის გამგე ინჟინერი ბარამოვი, რომელსაც ქალაქის თავის მოადგილესათვის პირადი სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია სამსახურის დროს ქალაქის შენობაში. ამავე დადგენილებით ბარამოვს სამართალში აძლევენ სამსახურის ასრულების დროს მოსამსახურე პირის შეურაცხყოფისათვის.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** თხოვნით მიმართა თფილისის გუბერნატორს, რათა გუბერნატორმა განკარგულება მოახდინოს, რომ თეატრებში მოწაფეები კულისებში არ შედიოდენ და საზოგადოთ, კარგათ მოეწყოს მოწაფეების ბილეთების გაყიდვის საქმე.

✦ **ქუთაისის გუბერნიაში,** როგორც გვატყობინებენ, ზოგიერთ ადგილებში ნატალია გ.—ცაგარლის პატივსაცემათ, განზრახვა აქვთ გამართონ წარმოდგენები და საზოგადოებას იუბილიარის მოღვაწეობა გააცნონ.

✦ **ნაოლელევიდან გვატყობინებენ,** (ქუთ. გუბ.) რომ იქ ახლო მომავალში, ადგილობრივ ინტელიგენციის მეცადინეობით გაიხსნება სამკითხველო.

✦ **შუამდგომლობა რკინის გზის შესახებ.** თფილისის ფუნიკულერის საქმ

საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რათა ნება დართოს მათ კოჯორში რკინ. გზის გასაყვანათ, რომელიც წმ. დავითის მთის ქედზე გადაივლის და უუმოკლესი შემაერთებელი მანძილი იქნება თფილისს და კოჯორს შუა. ნამესტნიკის კანცელარიამ შუამდგომლობა თფილისის გუბერნატორს დაუბრუნა ამ საქმის შესახებ ვრცელი ცნობების შესაკრებათ...

**სამსახურიდან გადაყენება.** როგორც „კავკაზის“ ოფიციალურ ნაწილში ვკითხულობთ, სამსახურიდან გადაუყენებიათ ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. აფაქიძე.

**კავკასიელების გადასახლება.** „ოდ. ლ.“ გვატყობინებს, რომ ოდესის გრადონაჩალნიკის დადგენილებით გამლიერებულ წესების მოხსნამდე ოდესაში, ამ ადგილიდან იდევნებიან ვიატკისა და მინსკის გუბერნიიდან ადმინისტრატიული წესით გამოდევნილნი: რ. ქანტურია, კ. ქადარია, გ. ქარდავა, ი. ჩხაიძე, გ. ცვიტარიძე, შეყრილაძე, ა. სარკიზოვ-გაიფაჯიანი, ს. საპონჯიანცი და გ. გიგაური.

**ახალი ჟურნალი.** ახლო მომავალში თფილისში გამოსვლას იწყებს ყოველ კვირეული ქართული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება.“

**სასტუმრო „ბორჯომის“** შენობის მე-3 სართულიდან, ვაგზლის ქუჩაზე, 7 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, თავის მოკვლის განზრახვით ქუჩაზე გადმოვარდა სასტუმროს მეპატრონის და, სენაკის მაზრის, ს. აბაშის მცხოვრები მ. გ. ქოიავა 18 წლისა. თავის მოკვლის განზრახვის მიზეზი ოჯახური უკმაყოფილება ყოფილა. ცოცხალმკვდარი ქალი საავადმყოფოში გაგზავნეს.

**სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ქართული წარმოდგენების მმართველი წრე, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ გამართავს საიუბილეო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის 4 მოქ. პიესა «ხანუმა».

---

**რედაქციისაგან:** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულია წ. კ. გ. საზოგადოების წლიური კრების ანგარიში. სამწუხაროთ, რედაქციისაგან სპეციალურათ გაგზავნილმა პირმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში ველარ შეადგინა, ამიტომ დავბეჭდეთ სახელდახელოთ შედგენილი ანგარიში, რის გამო ზოგი ორატორის სიტყვა ძლიერ შემოკლებით არის მოყვანილი და გამოტოვებულია ზოგი მნიშვნელოვანი ადგილები.

---

**შეცდომის გასწორება.** წ. კ. გ. საზ. წლიურ კრების ანგარიშში ნ. ჟღენტის სიტყვაში ნათქვამია: წინადადებას ვაძლევ კრებას აირჩიოს სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. მას არ უთქვამს, თუ რამდენი კაცისაგან უნდა იქნეს შემდგარი კომისია. მისივე სიტყვაში დაბეჭდილია: მაღაზიიდან გაუფლანგავთ 5,000 მან. ფულათ და წიგნებით. უნდა იყოს: გაუფლანგავთ თითქმის 7 ათას მანეთამდე.

---

## 23 ოქტომბრის ვაჭრობა.

წ. კ. საზოგადოების სასარგებლოთ გადაიხადეს ნავაჭრის წილი: 98) მელიტონ ბაქრაძემ და იას. გორდეზიანმა 1 მან., 99) კოტე გვარამიძემ 50 კ., 100) სოლომონ კაციტაძემ 1 მ., 101) სეფე პანჩიკიძემ 1 მან., 102) დიმ. სხირტლაძემ და ისაკ არჩვაძემ 50 კ., 103) გერასიმე აკოფოვმა 30 კ., 104) ამირან არჩვაძემ 1 მ., 105) პავლე მამინაიშვილმა 50 კ., 106) გრიგოლ გელესონმა 1 მ., 107) იოსებ პეტრუსოვმა 50 კ., 108) ალექსი მაისურაძემ 1 მ., 109) არტემ და ტრიფონ კოტორიყმა 50 კ., 110) ალექსი სირაძემ 50 კ., 111) იასონ გორგიაშვილმა 50 კ. 112) დავით ეგრაგიაშვილმა 50 კ. 113) დოროფანოვმა და ახმეტელოვმა 50 კ. 114) მიხეილ პაპუაშვილმა 50 კ. 115) გიორგი აფრასონმა 2 მ. 116) გიორგი კაკაბაძემ 2 მ. 117) გიორგი დემუროვმა 75 კ. 118) მელქო არისტაკოვმა 2 მ. 119) პელაგია ლომიძემ 1 მ. 120) ილია ზასნაპაშვილმა და გიორხელდსგიშვილმა 1 მ. 50 კ. 121) ივანე კახეთელიძემ 1 მ. 50 კ. 122) ნიკ. პაპიაშვილმა 50 კ.

---

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წლიური კრება.

### შთაბეჭდილება.

ამ თვის 6 მოხდა წ. კ. გ. საზ. წევრთა წლიური კრება, ბ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით. 394 წევრიდან კრებას მხოლოდ 50 დაესწრო, მარა ყველა კი არა, ნახევარიც რომ მოსულიყო, დარბაზი მაინც ვერ დაიტევდა. ნუ თუ არ შეიძლებოდა უფრო დიდი დარბაზის შოვნა!

ოქმის დამტკიცების და მოხსენების წაკითხვის შემდეგ, გაიმართა კამათი ანგარიშის დამტკიცების შესახებ. ნ. ჭიჭინაძემ დასაბუთებული წინადადება შეიტანა, რომ ანგარიშის დამტკიცება გადაიდოს, არჩეულ იქნას კრებისაგან განსაკუთრებული რევიზია საზოგადოების ყველა საქმეების სარევიზიოთ და მხოლოდ ასეთი რევიზიის შემდეგ ვილაპარაკოთ ანგარიშის დამტკიცება—არ დამტკიცების შესახებო.

ბ. ჭიჭინაძეს მხარი დაუჭირა ი. კაჩუხოვმა, ნ. ელიავამ, ირ. რამიშვილმა, დ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა. დიდი უმეტესობა ორატორებისა, გარდა ორისამისა, საჭიროთ სცნობდა ასეთი კომისიის არჩევას. თვით კრების თამჯდომარემ და გამგეობის წევრმა ბ. კარიჭაშვილმა რამდენჯერმე გაიმეორა: ჩვენ (ე. ი. გამგეობა) მოხარული ვართ რევიზიისო. ყველაფრიდან სჩანდა, რომ კრება ახალ სარევიზიო კომისიას აირჩევდა, მარა დაიხეთ მაცდურ კენჭის ყრას! როცა დაისვა კითხვა გადასაჭრელათ—აღმოჩნდა, რომ დიდი უმეტესობა კომისიის არჩევის წინაალმდეგია.

კენჭის ყრის ასეთმა შედეგმა თითქმის ყველა გააკვირვა. თითქოს ყველა მომხრე იყო კომისიის არჩევის. კენჭის ყრის დროს კი, უმეტესობა წინაალმდეგი აღმოჩნდა. ამ წინაალმდეგობას კი ისინი (გარდა ორისა), კენჭის ყრამდე, არაფრით არ ააშკარავებდენ.

ყველა ჩვენს საზოგადო კრებებზე არიან ერთი კატეგორიის წევრები. ესენი, თითქმის არც ერთი კითხვის გარჩევაში არ ღებულობენ არავითარ მონაწილეობას. არიან თავისთვის გატრუნული, ჩუმათ და მხოლოდ კენჭის ყრას უცდიან. მათთვის არავითარი არგუმენტი არ არსებობს. ისინი ყველა კითხვებს იმით ზომავენ, თუ ვინ იცავს ამა თუ იმ კითხვას და ვინ წინაალმდეგია. მათი კენჭის გადამწყვეტი—პიროვნებაა. ისინი გამგეობის წევრებს შეყურებენ თვალში და სხვები რომ კამათით თავს იღლავს, ესენი იმის ცდაში არიან,—გამგეობის ამა თუ იმ წევრის სახეზე უფრო დაბეჯითებით ამოიკითხონ, თუ როგორ მოიქცენ. მახსოვს ერთი ასეთი შემთხვევა შავი ქვის მრეწველთა კრებაზე. აშკარათ ემჩნეოდა, რომ კრების დიდი უმეტესობა ერთ წინადადებას ემხრობოდა, რომელიც საბჭოს წინაალმდეგ იყო მიმართული. კრების დიდი უმეტესობის თანამგრძნობა ამ წინადებისადმი ემდენათ დიდი და აშკარა იყო, რომ თვით საბჭოს წევრებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ის გავიდოდა. კენჭის ყრის დროს კი გამოირკვა, რომ ამ დიდმა უმეტესობამ წინაალმდეგ მისცა ხმა და კიდევაც გააშავა. ასე მოხდა კვირის კრებაზედაც. მთელი დღის კამათში სულ ორმა კაცმა გამოთქვა საჯაროთ კომისიის არჩევის წინაალმდეგი აზრი და ისიც ისე სუსტათ, რომ ვერც კი შეამჩნევდით, თუ მართლა ეწინაალმდეგებოდენ ამ აზრს. მიუხედავათ ამისა კომისიის არჩევა მაინც უარყვეს. უნდა ითქვას ისიც, რომ კომისიის უარ ყოფას ცოტათი მაინც ხელი შეუწყო ოპოზიციის ზოგიერთმა წევრებმაც, რომლებმაც კამათი კერძო პირებზე გადაიტანეს. კერძო პირზე ლაპარაკი იქ, სადაც პასუხისმგებელია მთელი კოლეგია, უადგილოა. ამას უნდა მიუმატოთ კამათის გაჭიანურება. რომ რამდენიმე ხნით ადრე დასმულიყო კითხვა კენჭის საყრელათ, ჩვენ ვფიქრობთ, შედეგიც სხვა იქნებოდა.

ამ წინადადების უარყოფით კრებამ დიდი შეცდომა ჩაიდინა. მან კიდევ უფრო გააძლიერა ის ხმები, რომელიც საზოგადოებაში დადის. წიგნის მაღაზიაში აღმოჩენილი ბოროტ-მოქმედება ამ ხმებს საზრდოს აძლევს. საჭირო იყო ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოღებოდა ამ გვარ ხმებს. ყველაზე უფრო დაინტერესებული ასეთი კომისიის არჩევაში უნდა ყოფილიყო თვით გამგეობა. გამგეობას თვით უნდა მოეთხოვა ასეთი კომისიის არჩევა. ის თვითონ უნდა ცდილიყო ამ ეჭვების გაფანტვას, მარა ის ასე არ მოიქცა. გარდა ბ. კარიჭაშვილისა, გამგეობის ყველა წევრი კომისიის წინაალმდეგი აღმოჩნდა და მით კიდევ უფრო ხელი შეუწყეს ათას-გვარი მითქმა-მოთქმის გაძლიერებას. ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრიდან, რომ ვიფიქროთ, ვითომ „საზოგადოების“ სხვა დარგშიაც ისეთივე რამე იყოს მომხდარი' რაც წიგნის მაღაზიაში მოხდა, მაგრამ ასეთი კომისია მაინც აუცილებლათ მიგვაჩნდა. კომისია გამოიკვლევდა ყოველივეს და აშკარათ დაარწმუნებდა ყველას, რომ საზოგადოების ქონებას არავითარი საფრთხე არ მოელის, რომ ყოველივე და ყველაფერი რიგზე და თავის ადგილზეა და ამით გამგეობის ნდობაც, რასაკვირველია, უფრო მტკიცე და შეურყეველი იქნებოდა. ამას მოითხოვდა თვით საქმის, თვით „საზოგადოების“ ინტერესი. და რამდენათ ეს არ შეასრულა კრების უმეტესობამ, იმდენათ მან „დათვური სამსახური“ გაუწია, როგორც „საზოგადოებას“, ისე თვით გამგეობას.

**გალიორკა.**

---

## სატრფოს

—

თუმც ვერა გხედავ, შორს—ყინულეთში
მარტოდ-მარტო ვარ—გადმოკარგული,
მაგრამ შენთან ვარ, სატრფოვ, გონებით
და შენის ეშხით კვლავ მიძგერს გული.
თუმც ახლოს შენი სიტყვა-ბაასი
ყურს ვერა მწვდება, ვერ მიტკბობს სმენას,
მაგრამ იცოდე, რომ გულის-ყური
მხოლოდ შენ გისმენს, ვფიცავ თვით ზენას!
გონების თვალით შეგყურებ მარად
და როს გიხილავ, მშვიდდება გული—
ათასი ტანჯვის მხნედ გადამტანი,
მაგრამ შენგან კი დამონებული...
ნეტა ვიცოდე—შენც მეტრფი კვალად,
წყლულად მიგაჩნის ჩემი იარა,
თუ ჩემზე ფიქრი მოგბეზრდა კიდეც
და სიყვარულმაც გადაგიარა?!
იქნებ იმ წამსვე, რა დაგვაშორეს,
შენ სხვის გულ-მკერდთან ჩამოგეძინა
და „სიყვარულით“ აღგზნებულ გულში
შენ ჩემს მაგივრათ სხვას მიეც ბინა?!.
...თუ ასე არის,—დეე ეგ გული
დასწვას, მოხარშოს კაეშნის ალმა...
და შენ კი... ღირსათ დაგაჯილდოვოს
აწმყომ, წარსულმა და მომავალმა.

**ლ. დარჩია**

* * *

საზარელ ბნელსა ფრთა გაუშლია,
არ სჩანს ბუნება გადაფურჩქნული,
გულს კაეშანი ღრღნის და აწყლულებს,
ლხინობს, ხარხარებს ბოროტი სული.
ბნელეთის იქით მარტოკა ობლათ
ბრწყინავს, ციმციმებს ორი ვარსკვლავი,
მხოლოდ მათ სხივებს ველარ აბნელებს
სქელათ გაშლილი წყვდიადი შავი.
ის თვალებია ჩემი სატრფოსი
სხივთა მფრქვეველნი, ვით მზე და მთვარე!
ჭირიმე მათი! ბადალს ვერ პოვებთ,
რომ მოიაროთ ყოველი მხარე!
ჰოი, თვალებო! ცხოვრების ბნელ გზას
თქვენ მიცისკროვნებთ, მხოლოდ თქვენ ერთი,
თქვენა ხართ ჩემი სარწმუნოება,
თქვენა ხართ ჩემი სალოცი ღმერთი!
იბრწყინეთ მარად, მინათეთ ბნელი,
რომ სულ თამამათ, ვიაროთ წინა
და იქ დავუშვა დროშა ბრძოლისა,
სადაც თქვენა გაქვსთ მუდმივი ბინა!

**ვ. რუხაძე**

---

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**ებრაელების გადასახლება** „ებრაელთა კავშირმა“ ოსმალეთის პარლამენტისაგან წინადადება მიიღო—წარუდგინოს მას გეგმა ებრაელების ოსმალეთში დასახლების შესახებ. ახლო მომავალში ოსმალეთის მთავრობა ამ კითხვის შესახებ სათანადო კანონს გამოაქვეყნებს.

### შორეული აღმოსავლეთი

**კორეიის ანექსია.** „რეჩის“ გადმოცემით ახლო მომავალში იაპონია კორეიის ანექსიას გამოაცხადებს. პორტ-სმუტის ხელშეკრულობის ძალით რუსეთ-იაპონიას შორის კორეიას შესახებ ორივე მხრისათვის სავალდებულო დადგენილებაა მიღებული, რომლის დარღვევა ერთ მხარეს არ შეუძლია მეორესთან შეუთანხმებლათ. ამიტომ ფიქრობენ, რომ იაპონია თავისი წადილის განსახორციელებლათ ყოველ ღონის ძიებას იხმარს რუსეთის მთავრობის თანხმობაც მიიღოს. ევროპის სახელმწიფოები ამის გამო აუცილებლათ პროტესტს გამოაცხადებენ.

### საზღვარ-გარეთ

**საარჩევნო კამპანია ინგლისში.** მუშათა პარტიის ლიდერს, ანდებისონს განუცხადებია, რომ მუშათა პარტიის მიერ მოხსნილი კანდიდატურების რიცხვი დიდია. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუშათა პარტიას არ სურს თავისი კონკურენციით საერთო მტრის გამარჯვებას ხელი შეუწყოს. ასევე მოიქცევიან ლიბერალებიც იმ საარჩევნო ადგილებში, სადაც მუშებს მეტი შანსები ექნებათ გამარჯვებისა ვიდრე ლიბერალებს.

**ჩემბერლენის კანდიდატურა.** ეუზეფ ჩემბერლენი ავათმყოფობისაგან მორჩენის შემდეგ ისევ პოლიტიკურ მოღვაწეობას უბრუნდება. ის უნიონისტების კანდიდატათ გამოდის ბირმინგამში. ამ საარჩევნო რაიონში ლიბერალებმა და მუშებმა უარი სთქვეს თავის კანდიდატების წამოყენებაზე. ჩემბერლენი დიდ პოპულიარულ მოღვაწეთ ითვლება ინგლისში, მისი არჩევა უოპოზიციოთ ჩაივლის.

**ჩეხების ობსტრუქცია.** როგორც ვენიდან დეპეშით იტყობინებიან, სლავიანების „კავშირის“ საპარლამენტო ფრაქციას ორი საათის თათბირის შემდეგ დაუდგენია აბსრუქცია მოახდინოს პარლამენტში. დაუყონებლივ შეიტანეს 37 სასწრაფო წინადადება. ამის გამო პრემიერ ბუტნერმა აუდიენციის დროს იმპერატორს განუცხადა, რომ კაბინეტი იძულებულია სამსახურიდან გადადგესო.

### რუსეთი.

**დუმა და სინოდი.** სახელმწიფო დუმამ ორჯერ გამოსთქვა სურვილი, რომ სინოდის განკარგულებაში გადაცემული თანხა სახელმწიფო კანტროლს ექვემდებარებოდეს და ხარჯთ-აღრიცხვის დროს გადარჩენილი ფულები სახელმწიფო ხაზინას გადაეცეს. სინოდმა ასეთი აზრის განხორციელებაში „ინოროდცების“ ხრიკები დაინახა. ობერ-პროკურორ ლუკიანოვს განუცხადებია, სანამ მე ჩემს თანამდებობაზე ვიქნები, სინოდი დუმას არავითარ დათმობაზე არ დაეთანხმებაო.

**საუნივერსიტეტო წესდება.** 2 დეკემბერს მინისტრთა საბჭოს კანცელიარიამ საუნივერსიტეტო წესდების მასალა ხელახლა დაურიგა კაბინეტის წევრებს. მინისტრთა საბჭო ამ წესდებას 15 დეკემბერს განიხილავს. უწყეთათა უმრავლესობა თავის აზრს წარუდგენს მინისტრთა საბჭოს წესდებას განხილვის დღეს.

**რკინის გზების ზარალი.** სახელმწიფო კანტროლიორს დუმაში შეუტანია მასალები სახელმწიფოს რკინის გზების მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობების თანახმათ რკინის გზებს რგვალი ციფრებით შემდეგი ზარალი მიუციათ მთავრობისთვის:

| | | |
|---|---|---|
| 1903 წ. | 20 | მილიონი მან. |
| 1904 „ | 32 | „ „ |
| 1905 „ | 89 | „ „ |
| 1906 „ | 113 | „ „ |
| 1907 „ | 120 | „ „ |

**სემინარიელთა სრულიად რუსეთის კავშირი.** სინოდის სამოსწავლო კომიტეტს ცნობები მიუღია, რომ სემინარიელებს ხელ-ახლა აღუდგენიათ თავისუფლების დღეებში ცნობილი „სემინარიელთა სრულიად რუსეთის კავშირი.“ არეულობები ხდება სემინარიებში წინდა წინვე გამომუშავებული საერთო პროგრამის თანახმათ. სინოდს აზრათ აქვს არეულობის გამეორების თავიდან ასაცილებლათ გამოიმუშაოს საზოგადო რეპრესიული ზომები ყველა სემინარიებისათვის.

**არქიმანდრიტი ოქტომბრისტების შესახებ.** ვლადიმირის გუბერნიაში 30 ნოემბერს „ჭეშმარიტ რუსთა“ საზოგადო კრება გაიმართა. მომხსენებლათ გამოვიდა არქიმანდრიტი მაკარი. არქიმანდრიტმა ასე დაახასიათა ოქტომბრისტები ოქტომბრისტები ნისლში გახვეული პარტიაა, რომელიც ბურუსიდან ვერასოდეს თავს ვერ აღწევს. ეს პარტია ყოველთვის მოხერხებულ დროს უცდის და მზათ არის ამღვრეულ წყალში თევზები იჭიროს. ოქტომბრისტები სულ იმის ცდაში არიან, რომ რაიმე სამსახური გაუწიონ ძლიერთა ამა ქვეყნისათა.»

**არეულობა სემინარიაში.** სმოლენსკის სასულიერო სემინარიაში დიდი არეულობა მოახდინეს მოწაფეებმა. 25 ნოემბ. დილით მოწაფეები კლასებში არ შევიდენ, თავი მოიყარეს დერეფანში, ხმაურობდენ, ისროდენ პეტარდებს, ჩალეწეს ფანჯრები რექტორის და ინსპექტორის ბინებზე და სხვ... მოსწავლეები მოითხოვენ სასწავლო პროგრამის გაფართოებას და უფლების მინიჭებას, რომ კურს-დამთავრებულთ თავისუფლათ შეეძლოთ უნივერსიტეტში შესვლა.

**ბოქაულები უნივერსიტეტში.** ახალი საუნივერსიტეტო წესდების ძალით უნივერსიტეტებში უნდა დაარსდეს განსაკუთრებული შტატი ბოქაულებისა. ამ კითხვამ უთანხმოება გამოიწვია მინისტრთა საბჭოში. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროები წინააღმდეგი არიან უნივერსიტეტში ბოქაულების შტატის დაარსების. სახალხო განათლების სამინისტრო კი წესდების ამ მუხლს თავგამოდებით იცავს. ამის გამო მინისტრთა საბჭომ დროებით გადადო საუნივერსიტეტო წესდების განხილვა.

**რა არ შეიძლება აეწეროს გლეხს.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა. რომ ადგილობრივ მთავრობას შეუძლია „ნედოიმკებში“ გლეხებს მხოლოდ ზედმეტი ქონება აუწეროს. აუცილებელ საოჯახო ნივთების აწერა კი აკრძალულია. არ შეიძლება აწერილ იქნას საოჯახო ინვენტარი, თუ ის შესდგება ერთი ცხენისაგან, ერთი ძროხისაგან, ერთი ღორისაგან ხუთი ცხვრისაგან, სამეურნეო იარაღისაგან, და პურისაგან რომელიც საოჯახო მოთხოვნილებისთვისაა დანიშნული. ვინც „ნედოიმკების“ აკრეფის დროს ამ წესებს დაარღვევს და გლეხებზე ძალას იხმარს სასტიკათ იქნებიან კანონის ძალით დასჯილნი.

---

## სოფლის მასწავლებლები.

—

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს ღარიბ დაბეჩავებულ ხალხთან ერთად არც სოფლის მასწავლებლებია განცხრომაში: ბევრი შრომა და ცოტ შრომის ფასი; იმისც ტანჯვა-წვალებით მიღებ, ხშირათ, მიყრუებულ მიუვალ სოფელში ცხოვრება, ათასგვარი დამცირება-შევიწროვება, და სხვა ათას გვარი გასაჭირი,—აი, ხვედრი დღევანდელი სოფლის მასწავლებლისა!...

ეს ხდება მაშინ, როდესაც მასწავლებლობა ერთად ერთი სიმპატიური, მოღვაწეობაა, მაგრამ მძიმე და საპასუხისმგებლო.

მასწავლებელი, ეს ჩვენი მომავალი თაობის აღმზრდელია, მათი ჭეშმარიტ გზაზე დაყენება, გონებრივათ და ზნეობრივათ აღზრდა, მათ უმანკო, გულუბრყილო ბავშვების სპეტაკ გულის ფიცარზე ავკარგის დაწერა—ეს მასწავლებლის საქმეა. თუ მასწავლებელი ზნეობრივათ პატიოსანი, კეთილი და შეგნებულია, თუ მას ცხოვრება და მისი ავ-კარგი ესმის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, თუ ის შეგნებ-განვითარების მოტრფიალეა, მაშინ მისი მოწაფეებიც სრულიად თუ არა, უმეტესათ მაინც საყვარელ მასწავლებლის მიმდევარნი ხდებიან, მის ნაჩვენებ ჭეშმარიტ გზას ადგებიან და ამ რიგათ ერთხელ სწორ გზაზე შემდგარნი, განზე ადვილათ აღარ უხვევენ და ამნაირათ, ქვეყანის მავნებელ და გზა დაბნეული ელემენტების მაგიერ, ეზრდება და ემატება, ნამდვილი, შეგნებული, ყველასათვის სასურველი და სარგებლობის მომტანი წევრი.

შეგნებული მასწავლებლების დიად მნიშვნელობა-სარგებლობაში დიდი ხანია დაწ ნაურებულ განათლებულ ქვეყნებში და იქ მათი ეკონომიურ-გონებრივი მდგომარეობაც სასურველათ არის მოწყობილი, შრომა დაფასებულია. ავიღოთ მაგალითად ახალი ზელანდია: იქ, სოფლის მასწავლებელი ათას მანეთამდე ღებულობს ჯამაგირს, რაც ჩვენში სამოქალაქო სკოლის მასწავლებლებსაც კი სიზმრათაც არ დაესიზმრებათ. ასეთ ქვეყანაში რა თქმა უნდა, სწავლის საქმეც კარგათ არის დაყენებული. ჩვენში? ჩვენში კი სოფლის მასწავლებელი ხშირათ ოცოცდა ხუთ მანეთსაც ძლივს ღებულობს თვეში და იმასაც სამი ოთხი თვის შემდეგ.—„კაცო, როგორ ვიფიქრებდი ეხლაც, თუ აღარ მომივიდოდა ჯამაგირიო“—თვალებში ცრემლებ-მორევით მითხრა ფოსტიდან დაბრუნებულმა მასწავლებელმა. ასეთმა კაცმა რაღა უნდა ასწავლოს ორ და სამ განყოფილებას, რომელთა მოწაფეების რიცხვი, ხშირათ ოთხმოცი და ოთხმოც და ათია!.. ან, ვინ, რომელი ხეირიანი მასწავლებელი დასთანხმდება ასეთ უდიერ და უმადურ-მძიმე შრომაზე თვეში 20—25 მანეთად ისიც მეორე მაზრაში, ხშირათ მეორე გუბერნიაშიაც, სახლიდან ერთი და ორი დღის სავალზე, თუ არა ეკონომიურათ უიმედო-უსახსრო, ან უცენზო ერთ-ორ კლასიანი—უსწავლელი!..—„ერთი ამ სალდათობას გადაურჩე და მერე ჯანაბას ასეთი სამსახურიო“—ამბობენ ასეთები, რომლებიც დროებით დაინიშნენ მასწავლებლათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯარში სამსახურს გადაურჩენ... რა უნდა მოსთხოვოთ ასეთ მასწავლებლებს! რა უნდა ასწავლოს თავის მოწაფეებს იმ მასწავლებელმა, რომელმაც არამც თუ რუსული, ქართული მართლ წერაც კი არ იცის, ორი წიგნი არ წაუკითხავს?! ისე გაივლის კვირეები, თვეები, რომ ხელში გაზეთს არ აიღებს!.. არავითარი საზოგადო საკითხი არ აინტერესებს. ეს მაშინ, როცა სოფლის უსწავლელი გლეხი რაა, რომელსაც ანაბანა არ გაეგება, ისიც კი კითხულობს დღეს:—„გაზეთში რა სწერია ბატონო ახალი“-ო.

**ს—ია.**

(შემდეგი იქნება)

# პროვინცია

ს. ხვარბეთი (გურია). როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, ამ ზაფხულს აქაურ მცხოვრებ თოიძის ცოლის მოკვლის გამო მთავრობამ მოსთხოვა ხალხს მკვლელები. ხალხმა „პრიგოვორით“ გადასცა რამდენიმე პირი და ეგონათ ამით გათავდებოდა საქმე, მაგრამ მოსტყუვდენ. როგორც გამოირკვა, პრიგოვორით გადაცემული პირნი უდანაშაულონი აღმოჩნდენ და ამიტომ 17 ნოემბერს ს. ხვარბეთის მამასახლისმა კაკაცოღლიმ დაიბარა ყრილობა და გამოუცხადა შემდეგი: „ადმინისტრაციამ თქვენი პრიგოვორი არ მიიღო და მოითხოვს მოწმეებს სამხედრო სასამართლოში დასამტკიცებლათ, რომ ეს კაცები არიან ნამდვილი დამნაშავეები. თუ ეს მოწმები წარვადგინე 18 ნოემბრამდი კარგი, თორემ ეგზეკუცია მოდისო. ცხადი იყო, რომ ამ მოკლე დროში ვერაფერს მოახერხებდენ. ლოდინი გამართლდა.

19 ნოემბერს მოვიდა ეგზეკუცია 65 უაზახი თავისი აფიცრებით. დააცლევინეს მათთვის სახლები. მაშინვე დაიბარეს კომისიები, რომ წარედგინა მოწმეები. კომისიები შეუდგენ მოქმედებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. ყოველ დღე ყრილობებია. დააპატიმრეს რამდენიმე პირი მათ შორის ქალებიც.

საზოგადოება დიდ გაჭირვებაშია, ყოველ დღიური ხარჯი 40—50 მანეთამდე ადის. გადასახადებს ყოველდღე კრეფენ. ვისაც ფული არ აღმოუჩნდა გაუყიდეს სიმინდი, ძროხა, ხარი.

„ნაპერწკალი“.

—

ნანეიშვილის-სეული საზ. (გურია). სწორეთ რომ აუტანელი წელიწადი დაუდგა წელს აქაურ გლეხებს: მთელი ზაფხულის განმავლობაში წვიმა არ მოსულა, რის გამო მთელი ნათესი ზეზე გახმა და განადგურდა. აქაური მცხოვრებ. დიდი უმრავლესობა მემამულეების მიწებზე მუშაობენ. იჯარა ერთი ორათ ასწიეს მადა აღძრულმა მემამულეებმა, მიუხედავათ იმისა, რომ მოსავალი ცუდია და იმის ნახევარიც არ მოსულა-რა შიგ, რაც მათ იჯარის ფასათ აიღეს. ყანები ყველგან სამესამედოთ გასცეს, ხოლო ფულათ ფული ქცევიდან ცხრა მანეთი აიღეს. ეს კიდევ არ იკმარეს მემამულეებმა და მომავალი წლისთვის გლეხებს შემდეგი განუცხადეს: „მომავალი წლისთვის სანახევროთ უნდა გვეცეთ მიწები და ჩვენი ნახევარი ნაწილი თქვენი ზურგით სასიმინდეში უნდა ჩაგვიყაროთ“-ო. ამნაირათ გაჭირვება გაჭირვებაზე ემატება, შველა კი არსაით არის. ბევრი ამ თავიდანვე შეუდგა სიმინდის ყიდვას, ამ ჟამათ ფუთი სიმინდი 80 კ. ღირს, შემდეგ კი უფრო გაძვირდება. ამ საერთო გაჭირვებას ზედ დაერთო დრამის ფული. ის უკვე გააწერეს თვითოეულ კომლს ორ-ორი მანეთი, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მთლად შეკრიბეს. სოფელში ყურ-გახვრეტილი გროში არსად არ მოიპოვებოდა, რის გამო ყველა ოჯახიდან საწინდარი გაქონდათ: თუნგი, ტასტი, ქვაბი და სხვ. ნივთები... როცა ეს „სულიერმა მამებმა“ გაიგეს, იმ წამსვე მთავრობას აცნობეს, რომ ხალხი პირ-შეთქმულია საწინდრის გაცემაზე, თორემ ყველას ნაღდი ფული უდევს ჯიბეში ჩვენს დასაკმაყოფილებლათო. და აი, მათმა მოხსენებამ მთავრობასთან გასჭრა კიდეც: მთავრობამ გასცა ხელმეორეთ ბრძანება, რომ აკრეფილი საწინდრები უკანვე დაებრუნებიათ და სამაგიეროთ წაეყვანათ ყველა ოჯახიდან ხარი, ძროხა და სხვა. ეს ხელმეორე აწიოკება და დარბევა იყო ბეჩავი ხალხის. ყველა ოჯახიდან გაუავდეთ ხარი და ძროხა... ერთ კვირაში დიდი ვაი ვაგლახით ხალხმა დააკმაყოფილა „მამების“ თხოვნა. ეხლა ხმა გავრცელდა, რომ წარსული ხუთი წლის დრამის ფულიც უკვე გაუწერიათ და ახლო მომავალში აუცილებლათ უნდა მოაგროვონო.

ტყეთა მეფე.

—

სოფ. კაკაბეთი (გარეთ კახეთი). იშვიათათ იქნება ისე დაბეჩავებული სოფელი, როგორიც კაკაბეთია. აქ 540 კომლამდე მცხოვრებია. მათ შორის 100 კომლი სომეხი; აქვთ ერთი პირველ დაწყებითი სამინისტრო სკოლა, ეს არის და ეს. სამწუხაროთ ამ ერთათ ერთ სკოლაშიაც სწავლა ვერ არის რიგზე დაყენებული. ამის ერთ მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მასწავლებლის მოქმედებამ ხალხზე ცუდი გავლენა იქონია. საქმე შემდეგშია: როცა აქ მასწავლებლათ დანიშნეს ნ. ც—ძე, მან პირობა მისცა ხალხს: მხოლოდ ხაზინის ჯამაგირს 400 მ. დავკმაყოფილდები და ხალხზე გაწერილ 150 მანეთს არ ავიღებო. სოფელს მადლობის მეტი რა ეთქმოდა. გავიდა ოთხი წელიწადი და მასწავლებელმა ეხლა მოინდომა ყველა წლების ფულის ერთათ აღება. ამან ცუდი გავლენა იქონია ხალხზე და კინაღამ დახურეს ერთათ ერთი სკოლა. ხალხი სიბნელის მორევში იხრჩობა. ლოთობას და ცემა ტყეპას ფრიად დიდი გასავალი აქვს. ასეთი სამარცხვინო ჩვეულებაც კი არის გავრცელებული: დათვრება ვინმე მიუხტება მოწინააღმდეგეს სახლში და ცოლს გაულახავს. აქ გაიხსნა კერძო აფთიაქი, არის ფერშალიც, მაგრამ ხალხი უფრო მკითხავებს და სოფლის ექიმბაშებს ეტანება. 27 ნოემბერს ადგილობრივ მცხოვრებ ვანო გულნაზაროვის 13 წლის ვაჟი ცხენმა ჩამოაგდო და კარგა მანძილზე გაათრია. თუმცა საექიმო დახმარება ჩქარა აღმოუჩინეს, მაგრამ ბავშვი ისე ძალზე დაშავებული აღმოჩნდა რომ რამდენიმე საათის შემდეგ სული განუტევა.

ისო ფარცხმელი.

# თეატრი და ხელოვნება

## პარტიის კაცი?!

როდესაც ბ. პართენ გოთუა მინისტრ პლევეს და კავკასიის მთავარ-მართებლის გოლიცინის დროს ცენზორის სავარძელს ამშვენებდა და წითელი კარანდაშით შლიდა და შლიდა „საწინააღმდეგო აზრებს“ ამ დროს გურიაში მთელი ხალხი თვალებს იფშვნეტდა და იღვიძებდა; მთელ რუსეთში და აგრეთვე ჩვენშიც, ახალი განთიადის ნიშნები აშკარათ გაჩნდა. განმათავისუფლებელი მოძრაობა სწორეთ იმ დროს იწყებოდა. ეს მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა. დადგა 1905 წელი. დაიწყო რუსეთის პირველი რევოლიუცია გამოიცა 17 ოქტომბრის მანიფესტი. იმ დროს მთელ რუსეთში არ მოინახებოდა არც ერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო გაებედა რაიმე რევოლიუციის წინააღმდეგ.

ყველამ იცოდა და დღესაც ყველამ იცის, რომ რევოლიუცია ერთი და ორი კაცის სურვილით არ იყო გამოწვეული. ყველამ იცოდა და ყველამ იცის, რომ რევოლიუცია ისტორიული მოვლენა იყო. ის უთუოდ უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ცხოვრება აღარ ჩაეტია ძველ კალაპოტში, ვინაიდან ფორმა აღარ შეესაბამა შინაარსს...

დიახ, გაჩაღდა რევოლიუცია. ძალა ხალხისკენ იყო. ამისდა მიხედვით მთავრობის არა ერთი და ორი ნამდვილი მომხრე ხალხისკენ გადავიდა. თვით ბ. გოთუამ უკუაგდო თავისი ჩინოვნიკობა და ხალხში შეერია.

მართალია, იმ დროს შეცდომები ბევრი იყო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. სხვათა შორის, ისიც დიდი შეცდომა იყო, რომ გოთუებს ენდვენ და ცენზორის ტანსაცმლის მაგიერ გაზეთ „განახლების“ რედაქტორის მოწითალო ტოგაში გახვიეს.

„დიდხანს ძმებს არ უნავარდიათ“. დამარცხდა რევოლიუცია; გაიმარჯვა რეაქციამ. ამოძრავდენ გველ-ბაყაყნი; აჩხავლდენ ყვავ-ყორანნი. თავისუფლება გინდოდათ? ვერ მოგართვით; ისევ დადგენ დღენი მონობისა. „ამხანაგობა“ გსურდათ? უკაცრავათ: ბატონპატრონობა ისევ გამეფდა.—გაჰკივის დიდი და პატარა, ჭკვიანი და ბრიყვი, ბასრ-კბილიანი და სულ უკბილო. გაჰკივიან და ხარხარებენ.

„ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველათ ახალი პიესა პარ. გოთუასი „პარტიის კაცი?!“.

ამ პიესის სულ მოკლე შინაარსი შემდეგია: გურიის სოფლებში იმართება ხალხის საიდუმლო კრებები. იწყება მოძრაობა. რაიონის წარმომადგენელი ნიკო გელაძე მეთაურობს მოძრაობას. ვინმე პეტრე, პარტიის ლიდერი, კომიტეტის წევრი, ხშირათ თვით უდგა სათავეში გურიის მოძრაობას. ნიკოს და პეტრეს უყვართ თავადის ქალი ნუცა. ნუცა უპირატესობას პეტრეს აძლევს, და აი, აქ იწყება ნიკო გელაძის გაიძვერაობა-ჯაშუშობა და პარტიის მხრივ ხალხის მოტყუება. სასაცილოთ აგდება. ხალხის ინტერესები მსხვერპლათ ეწირება პირად ინტერესებს. ხალხს ისე ათამაშებენ, როგორც ბურთს. მოისურვებს გელაძე ბოიკოტის გამოცხადებას, გამოცხადდება; როდესაც უნდა, მოხსნის, მერე ისევ გამოაცხადებს. ერთი სიტყვით, ხალხი ბრმა, ყრუა, უმეცარი, ბრიყვი და მშიშარა. ნიკო გელაძე—ეს თვით პარტიაა და რასაც პარტია ბრძანებს, ხალხიც იმას ასრულებს, რა გინდ სისულელეც რომ იყოს ეს ბრძანება. როგორ არ იცის ბრძენმა გოთუამ, რომ ამით ის ხალხს შეურაცხყოფას აყენებს, ამცირებს, ბრიყვათ გამოჰყავს! თუ იცის და ამით სურს ამოაცუროს 1905 წ-ში დალეწილი ხომალდები, რომ ისევ ძველებურათ ზედ დასკუპდეს და მიაგდოს იმ ნაპირას, რომელსაც ის დროებით მოშორდა, ვინაიდან ეგონა, რომ მეორე ნაპირი უფრო ძლიერი იყო?!

მართალია, ხალხი დღეს დამარცხებულია, მაგრამ განა შეიძლება მისი იარების აშლა-ღიტინი?

მოვიგონოთ ცოტა რამ ისტორიიდან.

როდესაც საფრანგეთში კომუნარები დამარცხდენ და დაჭრილ დახოცილები ქუჩაში ეყარენ, პარიზის სალონებიდან ქალები გამოვიდენ და ქოლგის წვერებს ულიტინებდენ იარებში კომუნარებს.

ბ. გოთუამაც ხალხის იარებს ღიტინი დაუწყო და ამით, რასაკვირველია, საქირო ყურადღებას დაიმსახურებს.

ახლა გადავიდეთ პიესის ზოგიერთ ადგილებზე.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ბ. გოთუას იმოდენი სცოდნია მოძრაობის ისტორია და მისი ავ-კარგი, რამდენიც მისივე პიესაში გამოყვანილ გადიას.

ბ. გოთუამ ცილის-წამებას არ უნდა მიმართოს. აბა, საინტერესოა გვითხრათ: სად, როდის და რომელმა სოციალდემოკრატმა, ისიც ლიდერმა, უთხრა ვინმეს: ეს სახლი შენ არ გეკუთვნის; ეს ხალხისაა, მაშასადამე, ჩემიცაა, და მე შემოვალ შენს სახლში კი არა, ხალხის სახლშიო? ამას ალაპარაკებს ბ. გოთუა ლიდერს და ჩვენ ვამბობთ: ბ. გოთუამ არ იცის, რას ქადაგობდენ ან და იცის, მაგრამ განზრახ ამახინჯებს. პირველ შემთხვევაში ის ლიტერატურული ბრიყვია, ვინაიდან არ იცის, რას სწერს, მეორეში კი—ცილის-მწამებელი.

პიესას ბ. გოთუა იმათ ათავებს, რომ პატარა სოც.-დემოკრატიულ კრებას იატაკს ქვეშ ყრის, უხურავს ზემოთ კარებს და დღევანდელი პოლიციელი, გუშინდელი კი რაზმელი, შემდეგს ამბობს: ჩაყარე მაგენი მანდ, დახურე კარები; აწი მაგენი მანდედან ველარ ამოვლენო.

ბ. გოთუა იქამდისაც მივიდა, რომ ერთ ლიდერთაგანს პოლიციას უკავშირებს, რომ ამ რიგათ ამ ლიდერმა თავიდან მოიცილოს პარტიის კანდიდატი დუმაში გასაგზავნ დეპუტატისა. ეს ერთად-ერთი ჩემი კონკურენტია პარტიისგან. თუ შენ დამეხმარები—ეუბნება პიესაში გელაძე „გარადავოის“—და მას თავიდან მომაშორებიებ, დეპუტატათ მე ამირჩევენ და მერე მე ვიცი შენი დასაჩუქრებაო.

პიესაში ერთად-ერთი პირია, რომელიც მსმენელებში თანაგრძნობას იწვევს. ეს არის მემამულე ხმალაძე. პარტიის კაცები კი ყველა მხეცები, ავაზაკები, სისხლის მსმელები, კარტის მოთამაშეები, ბრიყვები (ძროხასაც კი „ამხანაგს“ ეძახიან იმდენათ სულელათ გამოყავს). ჯაშუშიც კი და სხვა ამგვარები. მან ერთი ნამცეცი ბრწყინვალე წერტილიც ვერ ნახა „პარტიის ხალხის“ მთელ მოღვაწეობაში.

ასე დაафასა ბ. გოთუამ პარტიის მოღვაწეობა. ასე დააფასა პარტიის მოღვაწეობა ბ. ხეობელმაც. ასე დააფასა აკობიამაც. ამიერიდან ხეობელს და აკობიას მიემატა მესამე ღირსეული პირი. ეს გახლავთ ბ. პართენ გოთუა.

როცა ბ. გოთუა ასეთი ისტორიკოსის როლში გამოდის, ეს ჩვენ არ გვიკვირს იმ კაციდან, რომელიც შეხედულებებს საცვლებთან ერთად იცვლის, ჩვენ მეტს არას მოველით და მისი წიხლი არც საწყენია არავისთვის, მარა, როცა თეატრს ამ ხელოვნების ტაძარს, თავის ტრაპეზს, სცენაზე, ასეთი პასკვილი გამოაქვს, ასეთ ტალახს ესვრის ამა თუ იმა პარტიას, ეს კი შეუწყნარებელია. განა შეეფერება სცენას ასეთი პიესების სათარეშო მოედნათ გადაიქცეს! ბ. გოთუას პიესა სწორეთ ქართული თეატრის სცენისთვის და მისი აუდიტორიისთვის არის დაწერილი. ჩვენ არ გვგონია, რომ გამოჩნდეს, სხვა რომელიმე თეატრი რომ ამ პიესის დადგმა იკისროს.

რას წარმოადგენს პიესა ხელოვნური ნაწარმოების მხრით? მხოლოდ იმას, რომ გვაცნობს მისი ავტორის ბ. გოთუას სრულს უვიცობას თავის დანიშნულებასაც და საზოგადოთ მწერლობისა.

ასეთია ბ. გოთუას პიესა „პარტიის კაცი“?! ასეთია მისი დაფასება გავლილი დიადი მომენტისა და ამ მომენტის უმთავრესი მებაირახტრისა. ჩვენ ბევრი რამე გვაქვს სათქმელი პიესის შინაარსის მხრით, მარა... ნუ გვისაყვედურებს მკითხველი თუ ვერა ვთქვით ყოველივე ის რაც შევეძლო გვეთქვა.

დამსწრე.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

## საფრანგეთის მუშათა კლასი

ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ მუშებს კლერიკალები და კონსერვატორები. კლერიკალებს სურთ მუშათა კლასის მიმხრობა საერო სკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში, კონსერვატორებს კი პროპორციონალური წარმომადგენლობის შემოღებაში. მუშები, კი სანამ თავიანთ სარგებლობას ხედავენ მათ მოქმედებაში, ან სიტყვებში—ეთანხმებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში—თავისი გზით მიდიან.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ ებრძვის სამღვდელოება „ხაზეინებს“, რომ მუშებს კარგი მუშაობის პირობები „მოუპოვონ“. მ. გ., ბულოჩნიკები ღამ-ღამობით მუშაობენ. ისინი მოითხოვენ ღამე მუშაობის მოსპობას... მათ სამღვდელოება „ეხმარება“. სამღვდელოება ამბობს: „მუშა მთელ ღამეს მუშაობს, ამიტომ დღე სძინავს, რის გამო ეკლესიაში ვერ დადის, ვერ ლოცულობს და სხვა. ამიტომ უნდა მოისპოს ღამით მუშაობა“. ამ აზრს ქადაგებს სამღვდელოება როგორც ზეპირათ ისე წერით. კონსერვატორები მიდიან მუშებთან და პროპორციონალურ არჩევნებზე ელაპარაკებიან. მუშებიც მომხრენი არიან ასეთი არჩევნების და ორატორს ტაშს უკრავენ. ამით კონსერვატორებს სითამამე ეძლევათ და ამბობენ, რომ ჩვენ არც ისე ჩამორჩებით სხვებს სოციალური რეფორმების განხორციელებაში, როგორც ბევრნი ფიქრობენო. ეს რომ ასე იყოს, მართლა რომ სოციალურ რეფორმებს ყურადღებას არ გვაქცევდეთ, მუშებიც არ დაგვიჭერდენ მხარსო. მუშათა კლასი კი, მხარს უჭერს მოწინააღმდეგეთაც, როცა სარგებლობას ხედავს, აღარ არის სარგებლობა—ისიც შორდება. ყველა ამათი მუშათა მხარეზე გადახვრა კი, იმის მომასწავებელია, რომ საფრანგეთის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური და აგრეთვე სულიერი ცხოვრება მუშათა კლასის იდეალებისაკენ მიისწრაფვის. საქმის ასეთი მიმდინარეობა ბევრს, რასაკვირველია, არ მოსწონს, მარა როგორც ფაქტს, ანგარიში უნდა „გაუწიოს“. მარა რას გახდებიან კონსერვატორები გინდ კლერიკალები, სადაც ხალხს უკვე შეგნებული აქვს თავისი ინტერესები. როცა მას შეუძლია თავის საქმეს პატრონობა გაუწიოს. მაგ., ერთ ერთ გაზეთში სხვა და სხვა ადაგას მუშათა კრებების შესახებ შემდეგ ცნობებს კითხულობთ: შრომის ბირჟაში დანიშნულია 13 კრება სხვა და სხვა პროფესიონალური საზოგადოებისა, სხვა და სხვა დარბაზებში თუ სინდიკატთა სადგომებში და სახლებში—48 კრება სინდიკალისტებისა და 28 სოციალისტური პარტიისა. ქალაქ გარეთ—29 კრება 4 კოოპერატიული კრება, 2 მუშათა დღესასწაული საკონცერტო განყოფილებით, 10 ადგას საზოგადო კითხვები, რომელსაც ეგრეთ წოდებული სოციალისტური სკოლა აწყობს. ასე რომ, ერთი დღის—შაბათის განმავლობაში—როგორც ერთი ჟურნალი იტყობინება 136 სხვა და სხვა მუშათა კრება მოხდება. ამას გარდა, სხვა კიდევ რამდენი კრება მოხდება, ვინ დასთვლის. ხსენებულ კრებაზე მუშათა კლასი კიდეც გართობა, კიდეც ისწავლის, პრაქტიკულ კითხვებსაც გადასწყვეტს და სხ. ამის შემდეგ რა უნდა გააწყოს მათთან თუ გინდ ისეთმა ხალხმა, როგორიც კონსერვატორებია გინდ სამღვდელოება.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემ პატარა წერილს. ბევრი რამ ხდება ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში და დღეს არაფერი გასაკვირი არ არის, არც ჩვენი ამბავი გაუკვირდება ვინმეს. 26 ნოემბერს იარმუკაში შემხვდა შიო მაყაშვილი. მან კარგათ იცოდა, რომ უმუშევრათ დარჩენილი ვიყავი და მითხრა: „ქ. პეტროვსკიდან ჩამოვიდა ერთი კაცი, რომელსაც უნდა რამდენიმე მუშა წაიყვანოს აქედან თავზის ზავოდში სამუშაოთ, ჯამაგირი თვეში 25 მან., ხარჯი, ოთახი და სხვა. თანაც გვარწმუნებდა, შვიდი წელიწადი ამ კაცთან ვმსახურებდიო. მხოლოდ ბეთ 25 მანეთს თხოულობსო. მე და თომა ბესტაშვილი სიამოვნებით დავთანხმდით. მაყაშვილმა წაგვიყვანა სასტუმრო „იალტა“-ში და გვიჩვენა ვიღაც კაცი, რომელმაც იგივე გაიმეორა რაც მაყაშვილმა. ჩვენ ვუთხარით ფულები თან არა გვაქვს, წავალთ და ვიშოვით-თქო. წამოვედით და ვიშოვეთ ფულები. ჩვენს მისვლამდე ექვსს კაცს კიდევ მოლაპარაკებოდა და მორიგებოდა. ჩვენ ყველაფერზე დავეთანხმეთ, მხოლოდ ფულის მიცემაზე ვუთხარით, როცა მივიდოდით იქ, მიგცემდით. ბოლოს ის დაგვთანხმდა ხუთ-ხუთი მანეთი მიგვეცა და ჩვენი დოკუმენტები. მივეცით ხუთ-ხუთი მანეთი და სასტუმროს პატრონს უთხრა: ესენი დღეიდან მიღებული არიან, რაც დახარჯონ, მე დამაწერე. დღეს მინდოდა წასვლა, მაგრამ ვეღარ მივდივარ და ღამუშა გავგზავნეო. მივედით მეორე დღეს და ვნახეთ, რომ ჩვენი ვითომ და ხაზეინი, სადღაც გამქრალიყო, მისი ასავალ დასავალიც ვეღარ გავიგეთ. ფულები დაგვეცინცლა და მოქუსლა. პოლიციამ შიო მაყაშვილი დააპატიმრა და აღებული ფულების გადახდა დააკისრა. ის ცივ უარზე დგას, იმ კაცს არ ვიცნობო და ჩვენ კი გვარწმუნებდა შვიდი წელიწადი მასთან ვმსახურებდიო. ის უკვე გაანთავისუფლეს თავმდებში.

გსთხოვთ, სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ოსი ნიკო.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

გამოვიდა და იყიდება

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
—● კედლის კალენდარი 1910 წ. ●—
შედგენილი ზრ. ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ
ფასი 40 კაპ.

═ სახალხო კალენდარი ●═
1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან.
ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის %% დაეთმობა.
ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“.
(15—8)

13 დეკემბრიდან თფილისში გამოვა ყოველ-კვირეული
სალიტერატურო ჟურნალი

სხივი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე, ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახოსპირელი, ბ. გელა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. იასამანი, პ. ირეთელი, ა. ლალიონი, ლეო, რ. ღუმუბული, გ. მალაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაზდენიძე, ტ. რამიშვილი, გ. რუხაძე, ფ. რუმაველი, გ. ტუქსიშვილი და სხვანი.

**პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა ივ. გომართელის კრიტიკული წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.**

ამასთანავე, იანვრიდან თვეში ერთხელ ჟურნალთან ერთათ გამოვა კრებული „სხივი“-ს, მოზრდილი წიგნი. წიგნის ფასი შემდეგ იქნება გამოცხადებული.

კვირეულ ჟურნალში პროვინციის განყოფილებაც იქნება.

წერილები და კორესპონდენციები ერთ გვერდზე და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. დაუბეჭდავ დიდრონ მოთხრობებს და ლექსებს რედაქცია ერთ თვეს შეინახავს, რომლის განმავლობაში უნდა მოიკითხონ ავტორებმა, მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს.

ჟურნალი ღირება: ერთი წლით 5 მან. ნახევარი, წლით 2 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ. თითო ნომერი 10 კ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და მთელი წლის ფულს შემოიტანს დეკემბრის ნომრებს უფასოთ მიიღებს.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში წიგნის მაღაზია იმერეთში ის. კვიცარიძესთან, სამტრედიაში რკინის გზის შკაფში ყ. კოპალეიშვილთან, ბათუმში რკინის გზის შკაფში გ. მახარაძესთან, ჭიათურაში გ. ხუროძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ე. ლომთათიძესთან და სხვ...

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს დროებით: **Тифлисъ, типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская № 6, Полiевкту Антоновичу Каландадзе.**